სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

24 ნოემბერი 2023

N 21/10215

შპს „მშენებელი 2004"-ს
მის: ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩა N1
ელ. ფოსტა: geobuilder_cement@inbox.ru

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N8929 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებთ შემდეგს:

- დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის თანახმად, „სილოსებიდან, მათში ცემენტის ჩატვირთვისას წარმოქმნილი მტვერი გაიფრქვევა სილოსების კედლებზე დატანილი მილების საშუალებით, რომლებიც დაშვებულია მიწიდან დაახლოებით 0,8 მეტრი სიმაღლის ბეტონის ზედაპირის მქონე მოედანზე და ჩაშვებულია მილებზე ჰერმეტულად დამაგრებულ ტომრებში". ცემენტის მტვრის გაფრქვევა წარმოებს აღნიშნული ტომრებიდან, რომლებიც განიხილება როგორც ქსოვილის ფილტრი, მტვერდაჭერის ხარისხით 98%. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს აღნიშნული კუსტარული მტვერდამჭერი სისტემის გამოყენების პრაქტიკის და მისი 98 %-იანი ეფექტურობის დასაბუთება ლიტერატურული წყაროების ანალიზის ან/და ინსტრუმენტული გაზომვების საფუძველზე.
- წარმოდგენილ უნდა იქნეს ზემოაღნიშნული მტვერდამჭერი სისტემების (ტომრების) ეტაპობრივად ან სრულად ჩანაცვლების ღონისძიებების კონკრეტული გეგმა-გრაფიკი;
- დაზუსტებას საჭიროებს 8 ტონა/საათი წარმადობის ცემენტის წისქვილის ციკლონისა და სახელოიანი ფილტრის საპასპორტო მონაცემების შესახებ ინფორმაცია;
- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა თვითმონიტორინგის გეგმაში გათვალისწინებული უნდა იქნეს უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები ცემენტის წისქვილებზე. ამასთან, გეგმიდან ამოღებული უნდა იქნეს ინფორმაცია უახლოეს მოსახლესთან საანგარიშო მეთოდით მონიტორინგის შესახებ.
- როგორც გზშ-ის ანგარიშიდან დგინდება კლინკერის, ღორღის და თაბაშირის საწყობი ნახევრად ღიაა და დაცლა (კლინკერის) ხორციელდება გადახურულ საწყობში. დაზუსტებას საჭიროებს ღია საწყობებიდან მტვრის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის წარმოდგენილი უნდა იყოს კლინკერის ჩამოტვირთვის ეტაპზე ამტვერების საწინააღმდეგო შემარბილებელი ღონისძიებები;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემულია ატმოსფერულ ჰაერში ემისიების შემარბილებელი ღონისძიებები, რომელთაგან ერთ-ერთი არის „დასაწყობებული ნედლეულის მაქსიმალური დაცვა ქარისმიერი ზემოქმედებისგან". დაზუსტებას საჭიროებს რა ღონისძიებებია განსაზღვრული აღნიშნული ზემოქმედებისაგან დაცვის მიზნით;

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება ქ. რუსთავის საკანალიზაციო ქსელში, ხოლო 2023 წლის 26 ოქტომბერს, ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით გამართულ საჯარო განხილვაზე საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის წარმომადგენლის მიერ აღინიშნა, რომ ვინაიდან საწარმოს ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ არსებობდა საკანალიზაციო სისტემა, საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების შეგროვება ხდება შესაბამის რეზერვუარ-ორმოში და შემდგომ მისი გაწმენდა საასენიზაციო მანქანის საშუალებით. შესაბამისად სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთკამერიან ორმო-სალექარში გაწმენდილი წყალი ჩაედინება საკანალიზაციო ქსელში, რაც ასევე საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენას;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სალექარის პარამატრებისა და მოცულობის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის დასკვნის შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით საქმიანობის განმახორციელებლის მიერ ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაცია, რაც გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული;
- სკოპინგის დასკვნის თანახმად, დოკუმენტში ცალკე ქვეთავის სახით წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო 2021 წლის 19 მაისს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-714) განსაზღვრული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია - თითოეული პირობის შესრულების საკითხი/ანალიზი, რაც გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული თითოეული პირობის შესრულების მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშში არ არის გათვალისწინებული სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მოთხოვნა, კერძოდ, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის გამოვლენილი დარღვევებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების/გონივრული ვადების (არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია საწარმოს ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი შესრულების კონკრეტული ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში ცხრილების სახით წარმოდგენილი ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები არის ძალზედ ზოგადი სახის და არ შეესაბამება წარმოდგენილ საქმიანობას, შესაბამისად წარმოდგენილი უნდა იყოს გარემოს კომპონენტებზე, მათ შორის წყლის გარემოზე, მოსალოდნელი კონკრეტული ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები, ცემენტის საწარმოს საქმიანობასთან მიმართებით.

გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით გიგზავნით სამოქალაქო მოძრაობის „გავიგუდეთ“ მიერ სააგენტოში წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო